№ 103 მაისი 19, ხუთშაბათი 1888 მაისი 19, ხუთშაბათი № 103

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	70
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“
მეიროფას უდაში,
გამოცემული
გ. დ. ქართველიშვილის მიერ,
ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმას მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

ამ წიგნზე ხელის-მომწერთ უნდა წარმოადგინონ კვიტანცია, იმათ ზედ დარჩენილი ფული და გასაგზავნი ხარჯიც ერთი მანეთი.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Канцелярія Общества Грамотности. Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, №№ 109 и 110. (5-2)

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ თავად-აზნაურობის კრება დაიწყება ოცს ამა მაისსა, პარასკევს, დილის ცხრა საათზედ, ტფილისის სობრანიის სადგურში, თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში. (3-3)

ოთხშაბათს, 23 მაისს,

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო ქართულის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით გაჰმართავს პირველად პირველ ქართულ ფეერიას:

ყარამანი

გადაკეთებული ხალხურის ყარამანიანიდგან სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად.

სურათი 1. ყაფის დევთაგან ყარამანის მიწაზე ჩამოშვება; ქეჯს ფეხოვანის და ალმასის რქიანი რაშის გამოვარდნა.
სურათი 2. უშანგ შაჰისა და რაჯინდ ინდოეთის მეფის ბრძოლა; ყარამანისა და სარვიხურამანის ერთად შეყრა და გაარშიყება.
სურათი 3. ყარამანისა და სარვიხურამანის შეუღლება.
სურათი 4. ყარამანისაგან ყარუნ ხელმწიფის ჯადოთ დარღვევა და შამბასარ დევის მოკვლა.
სურათი 5. ბრძოლა ბალიირანის მეფისა, შაჰპალი ფერიისაა, აქვალ დევის ლაშქართან.
სურათი 6. შველა ყარამანისაგან ზორაბ ხელმწიფის შვილისა და ანუაფუზ დევის დამორჩილება.
სურათი 7. მისვლა ყამარანისა თეთრის დევის სასახლეში და თეთრის დევის მოკვლა.
სურათი 8. ბრძოლა ყარამანისა ზღვათა მეფესთან და ყარამალუხ დედოფლის განთავისუფლება.
სურათი 9. ჯადოთაგან უშანგ-შაჰის მოჯადოვება.
სურ. 10. ბრძოლა უშანგ-შაჰისა ოჰყალი ჯადოსთან და 30 მოწინააღმდეგე მეფეებთან; ყარამანის მოშველება.
სურ. 11. უშანგ-შაჰის მიცვალება და ანდერძი.

ამ ფეერიისათვის განგებ დამზადებულია ახალი ტანისამოსები, ზოგიერთი ახალი დეკორაციები და ყოველის სურათისათვის ახალი მუსიკა ბ-ნ ბალანჩივაძისა.

ქართულს ხოროს ექნება 12 სხვადასხვა სასიმღერო ნომერი.

კრება

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა.

(16 მაისს)

თორმეტი საათი დღისა იქნებოდა, როცა კრების თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ კრებას შეუძლიან შეუდგეს საქმეების გარჩევას, რადგანაც ორმოც-და-ათზე მეტი წევრი-დამფუძნებელია კრებაზე მოსულიო. ზოგიერთმა წევრმა კრებისამ, რომელიც 14 მაისს არ დაესწრო, ითხოვა, რომ მოკლედ აცნობონ, რა საუბარი იყო წინა კრებაზედ და კრებამ რა განაჩენი დაადგინა. თავ-მჯდომარის ნებადართვით კრებას მოხსენდა მოკლედ, რაც ლაპარაკი იყო წინა კრებაზედ და რითაც გათავდა.

ამის შემდეგ თავ-მჯდომარემ გამოაცხადა: რადგანაც წარსულს კრებაზედ იმაზედ დავდექით, რომ საუბარი გაგვემართა თეატრის აშენებისა და ქარვასლის გადაკეთების თაობაზედ, საჭიროა წავიკითხოთ ხელ-ახლად მოხსენება*) გამგეობისა ამ საგანზედ და მერე ბაასი გავმართოთო.

ხელ-ახლად წაკითხულ იქმნა ზემო თქმული მოხსენება და კრებაში წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა იმის თაობაზედ, რომ გამგეობა საზოგადო კრებისაგან მინიჭებულ უფლების წრეს გადავიდა, რადგანაც თეატრის შენობისა და ქარვასლის გადაკეთებისათვის სამი ათასი თუმანი იყო დანიშნული და გამგეობამ-კი პირველს იანვრამდე ათი ათას თუმნამდე დახარჯა და კიდევ ითხოვს ოთხი ათას თუმნამდე ხარჯსაო. რა უფლება ჰქონდა გამგეობას, რომ ასეთის თვით-ნებობით მოიქცა და კრების დაუკითხავად ამოდენა ფული შეალია ჩვენგან დანიშნულს საქმესაო.

ამ საგანზედ ძალიან გრძელი და ცხარე საუბარი ასტყდა. გამგეობა ამტკიცებდა, რომ თუმცა, მართალია, სამი ათასი თუმანი გვქონდა გარდაწყვეტილი და ჩვენ თითქმის ერთი ოთხად, ერთი ხუთად მეტი გვეხარჯება და ჩვენი დანაშაულობაც ეს არისო, მაგრამ აუცილებელმა საჭიროებამ გაგვაბედვინა ესა და საქმის ცხადმა სარგებლობამაო. ამაზედ უპასუხეს, რომ არც აუცილებელი საჭიროება არის აქ თავის გასამართლებელი საბუთი და არც საქმის სარგებლობაო. დანაშაული მაინც დანაშაულად რჩება, იმიტომ-რომ ბანკის საქმეში ამისთანა თვით-ნებობა დიდად და დიდად მავნებელიაო. თ. დ. ავალიშვილი ამასაც ამტკიცებდა, რომ ამოდენა ფულის დახარჯვას არათერი სარგებლობა არ მოჰყვაო. ამისათვის თავისი საბუთები წარმოადგინა, მაგრამ თვითონ კრების წევრთაგანვე ეს საბუთები არ იქმნა შეწყნარებული, რადგანაც სარგებლობა აქ ცხადიაო. თეატრსა და ქარვასლას აშენებამდე და გადაკეთებამდე სამი ათას ცხრაასი თუმანი მოჰქონდა და ეხლა-კი, როცა აშენდა და გადაკეთდა, ზედამხედველის კომიტეტის მიერ განხილულ საბუთების განა ჩანს, რომ ეს შემოსავალი ხუთი ათას სამასს თუმანზე მეტიაო.

ბევრმა სხვამ ილაპარაკა კიდევ ყოველ ამის გამო სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ გამგეობისა და, სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი ღონის-ძიება არა გვაქვს სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ აქ იმათი ნათქვამი. ხოლო საუბარი-კი ამ ერთს საგანზედ შესდგა, რომ გამგეობას დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს. თუ არა ესეთი თვით-ნებობაო. გამგეობის თავ-მჯდომარემ სთხოვა კრების თავ-მჯდომარეს ნება მისცეს სიტყვის თქმისა, როცა ყველანი თავის სათქმელს დაასრულებენ. როცა ყველამ, ვინც მოლაპარაკე იყო, თავისი ჰქო და არა სთქვა ამ საგანზედ და დაასრულა, თავ-მჯდომარემ კრებისამ ნება მისცა ილია ჭავჭავაძეს სიტყვის თქმისა.

ეს სიტყვა აქვე მოგვყავს:

„მას აქედ რაც ბანკი დაარსებულა ეს მეცამეტე წელიწადია. ეს მეცამეტე ჯერ ბანკის გამგეობა სდგას თქვენს წინაშე განსაკითხავად. ხოლო განკითხვა არც ერთხელ ამ ცამეტს წელიწადში ასეთის გულის წყრომით და რისხვით არ მოგვსვლია როგორც დღეს, და, სწორედ მოგახსენოთ, არც ამისთანა მარჯვე ხელ-ჩასაჭიდებელი მიზეზი ჰქონია დღემდე. რას ბრძანებთ? დახე, გამგეობამ ბანკსამ რა ჩაიდინა? იძახით დღეს მარჯვნივ და მარცხნივ, შინა და გარედ: ჩვენ ბანკის პატრონებმა ჩვენს მოჯამაგირეებს გადუწყვიტეთ, რომ ამა-და-ამ საქმეზედ სამი ათასი თუმანი დახარჯეთო, იმათ-კი აიღეს და ჯერ პირველ იანვრამდე ათი ათასზედ მეტი თუმანი დაუხარჯავთ და თანაც გვეუბნებიან, ოთხი ათასამდე კიდევ მოგვინდებაო. ვის არ აეშლება თავზედ თმა ამ საშინელების გამგონსა!..

„საქმე მართლა დღეს ასეა: სწორედ სამი ათასი თუმანი გადაგვიწყვიტეთ და ჩვენ-კი ათი ათასი დავხარჯეთ და ამასთანავე მოგახსენებთ, ოთხი ათასამდე კიდევ მოგვინდებაო. აქ რისხვას და წყრომას დიდი საბუთი აქვს მარტო ამ სიტყვებზედ რომ დავდგეთ და ალარასფერს სხვას ყური არ ვათხოვოთ,—იმიტომ-რომ თვით-ნებობა არა საქმეში არ ვარგა და ნამეტნავად ბანკისაში. ხოლო ერთი ეს ვიკითხოთ: მართლის სამართლის ქმნა იქნება, რომ სხვ ალარასფერს ყური არ ვათხოვოთ, ესე იგი, არ გამოვიძიოთ რად ქმნა გამგეობამ ესა, რა აუცილებელმა საჭიროებამ აქმნევინა, ეს ამოდენა ფული აიღო და გადაყარა უსარგებლოდ, თუ ეს ფული დაკარგული არის და მოგება და სარგებლობა მოგვიტანა რამ.

„კაცის მკვლელსაც-კი ჰკითხვენ ხოლმე, რად მოჰკალი კაციო. თუ შესაწყნარებელს მიზეზს ჰნახვენ, შეიწყნარებენ ცოტად თუ ბევრად მიზეზის მიხედვით, და ბევრი მაგალითიც ყოფილა, არის და იქნება, რომ სულაც შეუნდობენ და აპატიებენ. აი ამ გვარს განკითხვას ვითხოვთ თქვენგან და ამ გვარის სამართლით მოჭრილი ხელიც-კი არა სტკივა ადამიანსა. მე იმას-კი არ მოგახსენებთ, უსათუოდ გაგვამართლეთ-მეთქი. მე მარტო ვთხოვთ, გასამართლებელი ვართ თუ გასამტყუნებელი, მართალი სამართალი მოგვეცით.

„ჩვენ ამისი იმედი გვაქვს. ჩვენ რომ ეს იმედი არა გვქონდეს, არც-კი ვემსახურებოდით თქვენს საქმეს და თეითონ საქმეც-კი თხილის ნაჭუჭად არ ეღირებოდა. კიდევ მოგახსენებთ, ჩვენ გვაქვს ამისი სასოება, იმიტომ-რომ ამ თორმეტს წელიწადში არც ერთი უსამართლობა, ხშირად ჩვენზედ ხმალამოღებით მოსული, თქვენგან აქედამ დაუმარცხებელი არ წასულა.

„ამ იმედით ნუკეშ-ცემულნი შევუდგებით საქმის გამოძიებას. ჩვენი მოპირისპირენი, რომელთაც, უეჭველია, მარტო ბანკის სიკეთის წყურვილი ალაპარაკებს, მოგახსენებენ, რომ ჩვენ ალარასფერს გამოძიებაში შევდივართ. ჩვენ მარტო ეს ვიცით და მარტო ეს კმარა ვიცოდეთ, რომ სამი ათასის თუმნის ნება მოგეცით და თქვენ-კი ოთხი და ხუთი იმოდენა დაჰხარჯეთ ჩვენდა დაუკითხავად. აქ პრინციპია, დედა-აზრია საქმისა დარღვეულიო.

„მართალია, ჩვენ ამას არა ვმალავთ. ჩვენი დანაშაული ეს არის. ეხლა ვიკითხოთ: რა პრინციპი დავარღვიეთ? ის, რომ პატრონის დაუკითხავად მისმა რწმუნებულმა კაცმა არასფერი არ უნდა ჰხარჯოს. კარგი და პატიოსანი. ჩვენც დიდი პატივის მცემელნი ვართ ყოველ გვარ პრინციპისა. მაგრამ განა არ არის იმისთანა გარემოება, რომ ამ ორ-ცეცხლ შუა დააყენოს კაცი: ან პრინციპი დაიხსენ და საქმე გასწირე, ან საქმე დაიხსენ და გასწირე პრინციპიო. ამ შემთხვევაში რა გვიჯობს: საქმის გადარჩენა, თუ პრინციპისა? თქვენი ჰო თუ არა ამ საკითხზედ ჰო და არა იქნება იმისი თუ,—პრინციპია საქმისათვის გაჩენილი ქვეყანაზედ, თუ საქმე პრინციპისათვის.

„მე ნებასა გთხოვთ ერთი მაგალითი მოვიყვანო. ვსთქვათ, ღმერთმა-კი დაგვიფაროს და ცეცხლი წაეკიდა ბანკს. ბანკში ერთი იმისთანა კასსა სდგას, რომელშიაც ინახება მთელი ავლადიდება ბანკისა და რომელსაც სამოცი კაცი ადგილიდამ ძლივს დასძრავს. ვსთქვათ, გამოვდივარ და ვეძახი ხალხს: გვიშველეთ, კასსა გადაგვირჩინეთ! არავინა გვშველის, რადგანაც ცეცხლი გარ-შემორტყმულია და კასსის გადარჩენა არ შეიძლება თუ არ თავ-გამომეტებითა. ვხედავ რა, რომ მთელი ქონება იკარგება, ვიძახი: ვინც გადაარჩენს, აი ათასი თუმანი მიიღოს. ამ დროს მოდის ივანე თუ პეტრე და მეუბნება: კაცო, რო აძლევ, ვის ფულს აძლევ? ჯერ საზოგადო კრება შეჰყარე და მერე მიეციო. მინამდე რომ კასსა დაიწვას?—დეე დაიწვას, ოღონდ პრინციპი ნუ დაიწვებაო. როგორ გგონიათ, კასსის გადარჩენას უფრო მოიწონებდით, თუ პრინციპისას?

„ეს მაგალითი სრულებით არა ჰგავს იმას, რამაც ჩვენ იძულებული გაგვხადა ის დაგვეხარჯა, რის ნებაც არა გვქონდა. ცეცხლი, ღვთის მადლით, არას ეკიდებოდა, თუმცა-კი დაავლებულ და საქმის გულ-მტკივნეულ კაცისათვის ისიც ცეცხლის მოკიდებაა, როცა თუ დაყოვნდა, დაახანა, სიჩქარეს სიჩქარით არ მოექცა, მიბარებული საქმე ან წაუხდება, ან იმ სარგებელს, იმ ხეირს არ მოუტანს პატრონს, რისთვისაც თვითონ საქმეა დანიშნული. ამასაც თავი დავანებოთ. მე ეს მაგალითი მოვიყვანე მარტო იმისთვის, რათა ნათლად გვენიშნებინა, რომ ყოფილა, არის და იქნება კელავაც იმისთანა შემთხვევა, როცა საქმეს უნდა შეეწიროს ყოველივე ფორმა, ყოველივე პრინციპი, იმიტომ-რომ თვითონ ფორმა, თუ პრინციპი საქმის სიკეთისათვის არის და არა საქმის სიკეთე ფორმისა და პრინციპისათვის.

„ბევრნი იმისთანანი არიან, რომ ჩემს ნათქვამს სოფიზმს დაარქმევენ ხოლმე. ეხლაც იტყვიან, რომ ყოველი რაცა ვსთქვი სოფიზმიაო. სახელი საქმის ბუნებას ვერ შესცვლის: მე რომ პეტრე დამარქვან, მაინც ილია ჭავჭავაძე ვიქნები. თუ ეს ჩვენი თქმული სოფიზმია, დეე იყოს სოფიზმი, მხოლოდ ამას-კი ვიტყვი, რომ სწორედ ამ ყბად-აღებულს სოფიზმზედ არის დამყარებული მეათე ტომის მე-2197 მუხლი*) საზოგადო კანონებისა, რომელნიც ჩვენთვისაც სავალდებულოა. მინამ ეს კანონი კანონად არის, ვინც რამ უნდა სთქვას და რა სახელიც უნდა დაარქვას, ამის ჰკვიანურს, წინ-დახედულს და მართლის მართალს ერთს ბეწვსაც ვერავინ ვერ დააკლებს. ამიტომაც როცა გვეუბნებიან, აქ პრინციპია, დედა-აზრია დარღვეულიო, ისიც უსათუოდ უნდა დაუმატონ, რომ დარღვეულია გაუჭირებლად, ესე იგი, როცა აუცილებელი შემთხვევა და საქმის სიკეთე ამას

---

*) ვეცდებით, ეს მოხსენება სიტყვა-სიტყვით დავბეჭდოთ ჩვენს გაზეთში.

*) აქ თვითონ ეს მუხლი კანონისა წაკითხულ იქმნა. აი იგი კანონიც: Въ обстоятельствахъ, не терпящихъ отлагательства, правленію можетъ быть предоставлено право рѣшать дѣла своею властью и свыше суммы, въ уставѣ предназначенной, но съ тѣмъ, чтобы за необходимость и послѣдсвія такихъ рѣшеній члены правленія сами уже и отвѣтствовали предъ общимъ собраніемъ акціонеровъ.

აქ შეჰნიშნეს, რომ მაგ კანონით თავს ვერ იმართლებს გამგეობაო, რადგანაც მაგ კანონის ძალით თვითონ კრებამ უნდა მიანიჭოს ეგ ნებაო. ამაზედ ი. ჭავჭავაძემ უპასუხა, რომ მე ამით-კი არ ვმართლულობ თავსა, არამედ ამით მინდოდა მეჩვენებინა, რომ ჩემი სიტყვა სოფიზმი არ არის, პირ-იქით, საფუძვლადაც უდევს კანონსა-მეთქი.

არ ითხოვსო. სრული პრინციპი სწორედ ასეთია. აი, ამ პრინციპის ძალით უპასუხა იესო ქრისტემ, როცა უსაყვედურეს რომ შაბათს, ესე იგი, უქმე დღეს სნეულს რადა ჰკურნავო, აკრძალულია, ჩვენი პრინციპითო. ეგ იმიტომაო, უპასუხა იესო ქრისტემ: რომ კურნება სნეულისა კეთილი საქმეა და კეთილს საქმეს შაბათი ვერავის ვერ დაუშლისო, რადგანაც შაბათი კაცისათვის არის გაჩენილი და არა კაცი შაბათისათვისაო.

„ჩვენი ნუგეში ამაშია, თუ ეს ერთად-ერთი უცვალებელი და ყოველ შემთხვევაში შეურყეველი პრინციპი ჩვენკენ აღმოჩნდება. ეხლა ვიკითხოთ: იყო რამ ჩვენ წინ იმისთანა გარემოება, რომელიც ითხოვდა საქმის სარგებლობა გვერჩივნა სხვა ყოველ იმისთანა პრინციპის უკუგდებასა, რომელიც—თუნდ ძალიან იშვიათად—უნდა ემორჩილებოდეს საქმეს,—თუ შესაძლო იყო არც მწვადი დამწვარიყო, არც შამფური, ესე იგი, საქმეც არ წამხდარიყო და პრინციპიც შენახულიყო. ჩვენს მოხსენებაში, რომელიც დღეს ხელ-მეორედ წაკითხულ იყო თქვენს წინაშე, საკმაოდ ვრცლად ჩამოთვლილია იგი საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ სწორედ აუცილებელი გაჭირება დაგვაწყდა თავზედ. თუ ამ საბუთებს ვინმე თქვენგანი არა სჯერდება, გვიბძანეთ, და მოგახსენებთ კიდევ უფრო ვრცლად.

„დიაღ, ბატონებო, მე მგონია ცხადია, რომ ჩვენ ორ-წყალ შუა ვიყავით: ან ფორმას და ფრიად საჭირო ფორმასაც უნდა ავყოლოდით და საქმეზედ ხელი აგვეღო, ან საქმე გაგვეკეთებინა და ფორმაზე აგვეღო ხელი. ჩვენ უკანასკნელი ვირჩიეთ და ჩვენი დანაშაული თქვენს წინაშე ეს არის. ესთქვათ, დავაშავეთ, ახლა აღარ ვიკითხავთ რა წახდა ამით? ის წახდა, რომ ჩვენი ათი ათასი თუმანი რომელსამე ბანკში უნდა დებულიყო წელიწადში სამას თუმნად, ან ხუთას თუმნად, თუ სარგებლიან ქაღალდებს ვიყიდდით, და ეხლა-კი თქვენს საკუთარს ქონებაში სდევს და ათას სამას თუმანზედ მეტი სარგებელი მოაქვს. თუ ეს საქმის წახდენაა, დეე ჩვენც ამისთანა საქმესთან თანა-წავხდეთ. ხოლო ამას-კი ნუ დავივიწყებთ, რომ როცა საქმის პატრონს არ ესმის წანახდი რა არის და სარგებლობა და ხეირი რა, ამისთანა კაცის საქმეს ქვეყანაზედ ვერავინ ვერ ენდობა, სული და გული ბანკისა-კი ქვეყნის ნდობაა, უამისოდ ბანკი ერთს დღესაც ვერ იჭაჭანებს.

„დასასრულ, ჩემს საუბარს იმითი გავათავებ, რითაც დავიწყე. ეს სწორედ ცამეტი წელიწადია, რაც ჩვენ ამ ბანკის საქმეს ვემსახურებით, და ამ ცამეტს წელიწადში თორმეტჯერ განვკითხულვართ თქვენგან. ეს უკანასკნელი განკითხვა მეცამეტეა და რადგანაც მეცამეტეა, ცუდი ნიშანია იმისთვის, ვინც ამ წელს ბეწვის ხიდზედ უნდა გაიაროს. მე შემხვდა დღეს რიგი ამ ბეწვის ხიდზედ გავლისა, იმიტომ-რომ ამ ავ-თვალა და ავ-ნიშანა წელს მე ან უნდა ხელ-ახლად ჩამოვეტარო კენჭი—და არჩევანი, რასაკვირველია, თქვენია,—ან წინადვე უარი ესთქვა. ამ ორში რას მოვიწადინებ—ეგ ჩემი საქმეა. მე მხოლოდ ამასა გთხოვთ, ჩემს ბანკში ყოფნას, თუ არ ყოფნას ნუ გადაახრევინებთ სამართლის სასწორს ნურც იქით, ნურც აქეთ. არ მოგწონვართ, არ ვარგვართ, ღმერთმა ისე ადვილად ბანკს ვალები მოგაშოროთ, როგორც ადვილად თავიდამ მე მომიშორებთ ყოვლად უმიზეზოდაც. აქ არავინ სამდურავსაც არ გაკადრებთ. ხოლო ბანკს გაუფრთხილდით.

„ერთი დიდი და ძლიერი ძარღვი გაფრთხილებისა განკითხვაა პატრონისაგან დავალებულის კაცისა და იმის მოქმედებისა. როცა ქვეყანა ჰხედავს, რომ იგი უმაღლესი ინსტანცია, რომელსაც საზოგადო კრება ჰქვიან, საქმეს ფხიზელის და მართალის თვალით დასტრიალებს, წრფელის გულის ტკივილით უვლის, ყოველ ნაბიჯს საქმის მსვლელობისას ცოდნის თვალით და მართალის განკითხვით სინჯავს, ნდობაც ბევრია. ნდობაა-მეთქი, მარტო ნდობაა დედა-ბოძი ყოველის ბანკისა და ნამეტნავად ჩვენისა, რომელიც დიდსა და პატარას თავის გაჩენის დღიდამვე დღეს აქამომდე ნიშანში აქვს ამოღებული და თავში უფაჩუნებს, არ ვიცით-კი რად. ამიტომაც სამართლიანი განკითხვა არავისათვის სათაკილო არ არის, პირ-იქით. უამისობა სიკვდილია ბანკისათვის, დედაბოძის გამოცლაა შენობისათვის.

„ამ მხრით განკითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველისფერში საზოგადოდ და ბანკის საქმეში საკუთრივ და ჩვენ თავს უნდა მივულოცოთ, რომ ეს განკითხვა ჩვეულებად გაგვიხდა და თან-და-თან ძლიერდება და ჰმატულობს. დიაღ, ბატონებო, არავითარს საქმეს, ნამეტნავად საზოგადოს, განუკითხველად არ უნდა მოეკიდნეთ, ხოლო სამართლიანად-კი. მე აქ განგებ გავიმეორე „სამართლიანად“-მეთქი. ეგ იმასა ჰნიშნავს, რომ კაცმა არც ჰო უნდა სთქვას, არც არა რომელსამე საგანზე, თუ საგნის ვითარება არ გამოუძიებია, არ უცვნია, არ გამოურკვევია, ერთის სიტყვით, თუ ჰოსა ან არასათვის მართალი, უტყუარი საბუთი არა აქვს. ყველა ეს აუცილებელი საჭიროებაა, მაგრამ საკმაო არ არის მართალის სამართლის ქმნისათვის: თვითონ განაჩენი ზედ მართალზედ უნდა იყოს გამოჭრილი და არა გულში ჩახვეულ რაღაც ხვანჯზედ. უამისოდ განკითხვა განკითხვა-კი არ არის, ჭორიკანაობაა და ჭორიკანაობა ხომ კუდიან მელასა ჰგავს, რომელსაც რაც აგონდება, ის ესიზმრება ხოლმე. აი ამ გვარი განკითხვაა იგი ფონი, რომელიც არჩობს ნდობასა და ჰლუპავს საქმესა.

„ჩვენი ნუგეში, ჩვენი სასოება ის არის, რომ არც თქვენ იკადრებთ ამისთანა განკითხვას და არც ჩვენ და გვამდაბლეთ იმოდენად, რომ ამისთანა განკითხვას შეგვეჭიდოთ. ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს ეს სასიხარულო და სასიქადულო ნუგეში ვიქონიოთ თქვენზედ. აკი მოგახსენეთ, ამ ცამეტს წელიწადში თორმეტჯერ განგვიკითხავთ თქვენგან ამორჩეული კაცები და თორმეტჯერვე მართალს თავისი გაუტანია და არც ერთხელ არ შეჰბღალულა „ქმნა მართლისა სამართლისა“, რომელიც, შოთას სიტყვით, „ხესაც შეიქმს ხმელსა ნედლად“, ესე იგი, მკვდარსაც გააცოცხლებს. ეს ყოველის კაცის მაცოცხლებელი ღვთაებური მადლი მართალის სამართლის ქმნისა თუ თქვენი ხმალია, ჩვენი ფარიც ეგ არის.

„ამ მართალის სამართლის ქმნის ღვთაებურ მადლისათვის მიგვინდვია თქვენი განაჩენი მასზე თუ,—წაგიხდინეთ თქვენი მონდობილი საქმე, თუ გაგიკეთეთ“.

ამის შემდეგ კიდევ ასტყდა კანტი-კუნტად ლაპარაკი და ბოლოს თავ-მჯდომარემ კრებისამ გამოაცხადა, რომ ეხლა საქმე საკმაოდ გამოირკვა განაჩენის დასადგენად და ამიტომაც წინანდელის კრების განაჩენი შევასრულოთ: ამტკიცებთ, თუ არა 1887 წლის ბანკის მოქმედების ანგარიშსა, და როცა ამას მოვრჩებით, მერე გკითხავთ: ამტკიცებთ, თუ არა მოხსენებას გამგეობისას თეატრის შენობისა და ქარვასლის გადაკეთების თაობაზედაო.

თ. დ. ავალიშვილმა მოითხოვა, რომ ამ ორსავე საგანს ცალკ-ცალკე კენჭი ჩამოუტაროს. ამაზედ ზოგმა ჰო სთქვა, ზოგმა არა, მაგრამ, კრების სურვილისამებრ, თავ-მჯდომარემ მოითხოვა ორი არჩევანის ყუთი და კენჭი ჩამოატარა. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 1887 წლის ბანკის მოქმედების ანგარიში დაამტკიცა სამოც-და-ხუთმა ხმამ შვიდის წინააღმდეგ და ბანკის მოხსენება თეატრისა და ქარვასლის შენობის თაობაზედ სამოც-და-ორმა ხმამ ათის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ, რადგანაც გვიან იყო, თავ-მჯდომარემ კრება გადასდო სამშაბათისათვის, სხვა დანარჩენ საქმეების განსახილველად.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 18-ს მაისს, მოხდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა უკანასკნელი კრება. კრებამ მოისმინა ბანკის მმართველობის მოხსენება მასზე, რომ ბანკმა შემწეობა უნდა აძლიოს ავადმყოფობის დროს იმ კაცთა, რომლებიც არჩევნით მსახურებენ ბანკში. გარდა ამისა კრებას მოხსენდა ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველის კომიტეტის აზრი შესახებ ორისავე ბანკის შეერთებისა. კრებამ თანაგრძნობა გამოუცხადა ამ აზრსა და დაადგინა, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა და ბანკის მმართველობამ აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს საქმე და ყოველის მხრით აწონ-დასწონოს, რამდენადამ მოსახერხებელია შეერთება, და მოელაპარაკოს ქუთაისის კომისიას. შემდეგ კენჭით აირჩიეს ზედამხედველის კომიტეტის წევრად თ. რ. ერისთავი (105 თეთრი და 17 შავი), ჯავროვი (83 თ.—39 შ.), თ. ს. წერეთელი (95 თ.—27 შ.), განზიელი (81 თ.—41 შ.), თ. ნ. ანდრონიკოვი (89 თ.—33 შ.), თ. ლ. ვაჩნაძე (94 თ.—28 შ.), ალ. კობიევი (78 თ.—44 შ.), ნათიევი (92 თ.—30 შ.), თ. დ. ბარათოვი (93 თ.—27 შ.), თ. დ. ხეალოვი (97 თ.—25 შ.); ბანკის მმართველობის თავ-მჯდომარედ თ. ი. ჭავჭავაძე (111 თ.—9 შ.) და თავ-მჯდომარედ დამფასებელთა კომისიისა—კ. ფურცელაძე (112 თ.—8 შ.).

⁂ დაიბეჭდა და დაურიგდა წევრებს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის მოქმედების წლიური ანგარიში.

⁂ 16 მაისს ტფილისის გუბერნიის აზნაურთა საზოგადოებას, რომელსაც საგნადა აქვს შემწეობა აღმოუჩინოს მოსწავლეთა, ჰქონდა სხდომა სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში. საზოგადოებამ მოისმინა წლიური ანგარიში, რომელსაც ჩვენ ამ დღეებში დავბეჭდავთ. კომიტეტმა სხვათა შორის მოახსენა კრებას, რომ სათავად-აზნაურო სკოლაში მისაბარებლად მშობლებს ყმაწვილები სრულიად მოუმზადელი მოჰყავთო. ყმაწვილებმა არა იციან-რა და ამიტომ ოთხის წლის კურსი არა ჰკმარობს ყმაწვილების კარგად მოსამზადებლად სხვა სასწავლებელთათვის. თუ ცოტათი მაინც მომზადებულს ყმაწვილებს მოიყვანდნენ, მაშინ სკოლას საქმე გაუადვილდება და ყმაწვილებს უფრო ადვილად მოამზადებს. ამიტომაო, ამბობდა კომიტეტი, თვით სკოლის ინტერესი მოითხოვს, რომ მისაბარებელმა ყმაწვილებმა იცოდნენ ქართული წერა-კითხვა. ამასთანავე საჭიროა ყმაწვილები გამოსცადონ ქართულს წერა-კითხვაში და ვისაც წერა-კითხვა არ ეცოდინება, ისინი არ უნდა იქმნან მიღებულნიო. კრებამ შეიწყნარა კომიტეტის აზრი.

⁂ 7 და 8 მაისს დიდი წვიმები იყო; ორი დღე კოკის - პირულადა სწვიმდა. მტკვარმა უფრო მოიმატა, წვიმამ ბალახი და ყანები გააცოცხლა, მაგრამ გვიანღა: თიბვის დრო გავიდა და ყანები-კი გაიჭრა. წვიმა უფრო საჭირო იყო სალიანის ახლო-მახლო ადგილებისათვის. წვიმას მოჰყვა კოლოცა, ეს ხალხის შემაწუხებელი მწერი.

⁂ ანჩისხატის გვერდით, სამხრეთის მხარეს, ვიწრო ქუჩა ჩადის მტკვარამდე, მკვრის ნაპირს. აქ ყოველთვის ნაგავსა ჰყრიან მუშები და „მეპოვოსკეები“. ამ გარემოებას არავინ ყურადღებას არ აქცევს ამისთანა წყალ-დიდობის დროსაც-კი, როდესაც ნაპირები ირღვევა. ამიტომაც სამშაბათს ცხენ-შებმული ნაგვით სავსე „პოვოსკა“ ჩავარდა მტკვარში და წყალმა წაიღო. მეპოვოსკე გადარჩა.

⁂ სოფელი ხოვლე: წარსულს კვირის ხუთშაბათს, 12 მაისს, კვართობის (კვერთხობის) დღეობაზე, რომელიც ჩვენში იციან ხოლმე, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; დღეობამ ჩვეულებრივის მხიარულებით ჩაიარა. საღამოზედ თავ. ილია ჯავახიშვილის სახლში წარმოდგენა იყო გამართული. შენობის კარგად ფართო აივანზე გამართული იყო პატარა სცენა, ჩითის ფარდით ჩამოფარებული; მაყურებელთათვის ეზოში დაედგათ სავარძლები და სკამები, რომლებსაც რიგ-რიგად მისდევდნენ გრძელი ხის სკამებივე. ცა ცოტათი მოღრუბლული იყო, წვიმას აპირებდა და მართლაც რამდენსამე ხანს სწინწკლავდა კიდეც, მაგრამ ამ გარემოებას ხალხი არ შეუშინებია და ყველანი მოუთმენლად მოელოდით წარმოდგენის დაწყებას. ცოტა ხნის შემდეგ წვიმა შესწყდა.

თამაშობდნენ ავ. ცაგარლის კომედიას—„ხანუმას“. საზოგადოდ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა და კარგი ზედ-მოქმედება მოახდინა მაყურებლებზე, რომელთა შორის შეჰხვდებოდით ბევრს თავადის შვილებსაც. უმეტესი ნაწილი-კი გლეხ-კაცობა იყო. დიდი და პატარა ყველანი სიამოვნებით მოისმენდნენ პიესას და ბევრსაც იცინოდნენ. გამოვიდა თუ არა სცენაზე ნ. გაბ.-ცაგარლისა (ხანუმას როლში), საზოგადოება ვაშას ძახილით, ტაშის კვრით და ვარდებ-ყვავილებით მიეგება. საზოგადოდ პიესას კარგადა თამაშობდნენ, და უნდა გამოვსტყდეთ, რომ ზოგიერთნი მოთამაშენი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ჩვენის სცენის ქურუმებს. კარგად შეასრულეს თავ-თავიანთი როლები ელენე და ქეთევან ჯავახიშვილის ქალებმა. საუცხოო რამ იყო ქაბატუას და სარას როლების მოთამაშე ქალი. მკვირცხლად და ცოდნით შეასრულეს თავიანთი როლები ქაიხოსრო ჯავახიშვილმა (ვანო ფანტიაშვილის როლი), დათიკო ჯავახიშვილმა (მიკიჩას როლი), ვანო თარხნიშვილმა (კოტე ფანტიაშვილის როლი) და ესტატე თარხნიშვილმა (აკოფას როლი). ხოლო ჩვენის გაოცების საგანი იყო ტიმოთეს როლში მოთამაშე, იქაურის გლეხ-კაცის შვილი ლექსო (გვარი ვერ დავიხსომეთ).

წარმოდგენის შემდეგ სცენაზე ქ-ნ ნ. გაბ.-ცაგარლისას მიართვეს რაღაც ძვირფასი საჩუქარი. კნ. მარიამ დავითის ასულმა ჯავახოვისამ წაიკითხა ადრესი ნ. გაბ.-ცაგარლის მიმართ.

შემოსავალი წარმოდგენიდამ დანიშნული იყო ადგილობრივის სკოლის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. წიგნთ-საცავი სოფელს ხოვლეში დაარსებულ იქმნა ამ ერთის წლის წინად იქაურის სოფლის მასწავლებლის თავ. ნიკო თარხნიშვილისა და კნ. მარიამ დავითის ასულის ჯავახიშვილის თაოსნობით. ამათის მეცადინეობით შესდგა საზოგადოება, რომელსაც ამ ჟამად ათს თუმანზე მეტი ფული აქვს და პატარა წიგნთ-საცავიც. ამ წიგნთ-საცავში შეხვდებით ყველა ცოტად თუ ბევრად შესანიშნავს ნაწერებს ჩვენის მწერლებისას. წიგნებით სარგებლობენ როგორც სკოლის შეგირდები, აგრეთვე ყველა წევრები, სოფ. ხოვლეში მცხოვრებნი და სხვა სოფლებიდამაც.

⁂ ტფილისის მაზრა სოფ. ნორიოდამ შემდეგს სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ. სოფლის მახლობლად ერთი საძოვარი ალაგია, რომელიც იჯარით იძლევა ყოველ წლივ. ამ წელს ამ ალაგის მოიჯარადრემ ორი ყარაული დააყენა საძოვრის ყურის საგდებლად. ამ დღეებში ყარაულებს რამდენიმე ხარი დაუჭერიათ. ხარები თითონ შეპარულიყვნენ ყურულში, თუ პატრონებს განგებ შეურეკავთ მოსაძოვებლად, ჯერ სწორედ არავინ იცის. მხოლოდ ის-კია, რომ ხარების პატრონები მისულან ყარაულებთან და ძალით მოუნდომებიათ ხარების წამოყვანა. ყარაულებს არ დაუნებებიათ. მაშინ პატრონებს ხანჯლები ამოუღიათ და დაუჭრიათ თასმები, რომლითაც ხარები მიბმულნი ყოფილან საყარაულოს წინ. მარტო ამ განზრახვით ამოუღიათ ხანჯლები, თუ სხვა მიზეზის გამოცა, ვერ შევიტყეთ; მხოლოდ ამას ის მოჰყოლია, რომ მეყორულეებს თოფი უსროლიათ და ერთს ტყვია შიგ გულში მოხვედრია, მეორეს ძუძუს თავში. პირველი რამდენისამე საათის შემდეგ მომკვდარა, მეორეს-კი მეორე დღემდე უცოცხლია. ორივე გარდაცვალებულნი სულ ახალგაზდა ბიჭები ყოფილან.

⁂ იქიდამვე: ამბავი მოგვივიდა, რომ დიდ-წვიმებისა და ნიაღვრების დროს, როდესაც საშინელი ჭექა-ქუხილი ასტყდა, მეხი ჩამოვარდნილა, დასცემია ერთს საბძელს და ორი ხარი მოუკლავს. საკვირველია ის გარემოება, რომ მეხს თვით საბძლისათვის-კი არა უვნია-რა.

⁂ ბათუმი: საკარანტინო ყარაულებმა მახინჯაურელს მაჰმადიანებს

ყუთეებს ბლომად ჩაი, ჩუმად შემოპარებული ტრაპიზონიდგან. მახინჯაურელებმა სთქვეს, რომ ეს ჩაი და ყუთები ზღვამ გამორიყა და ჩვენ დაეუფლეთო. აბა ამისთანა შემთხვევაზეა ის გამოჭრილი ანდაზა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“.

⁂ სურამი: გუშინ, 16-ს მაისს, შუადღის ხანს, სურამის სიახლოვეს, სოფ. ჩუმათელეთში, არა ჩვეულებრივი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ამ სოფლის მცხოვრებლმა, აზნაურმა კოტე ტატეს ძემ ყიფიანმა, ცულის ყუა დაჰკრა ორჯელ-სამჯერ თავში სოფ. ხვანლის უბნის მცხოვრებელს გლეხს, ოც-და-ხუთის წლის ვაჟ-კაცს ტატე ბალათურსა. გუშინდელს აქეთ უბედურს ხმა არ ამოუღია, თვალები სულ დახუჭული აქვს და ოდნავ სუნთქავს. ჯერ იმედი არ არის საბრალოს მორჩენისა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ჯავათის მაზრა: მშვიდი და წყნარი მტკვარი ცოტა არ იყოს, გიჟობს, თავის ქერქში აღარა სდგება. არაქსიც ბანს აძლევს, აქეზებს, გადმოდი ნაპირებიდგან და წალეკე ეს უბედური ქვეყანაო. ეს დალოცვილი მტკვარიც აჰყოლია არაქსის რჩევასა და მოსდებია აქაურობას. კარასუხსედგან ჯევათისაკენ მიმავალი გზა შეკრულია ნაპირებიდგან გადმოსულის წყლით. მუღანლისაკენაც ასეა. სალიანს ხომ ძირს უთხრის და ხან ერთს სახლს ჩამონგრევს ხოლმე და ხან მეორესა.

⁂ «მშაკში» დაბეჭდილია წერილი სომეხთა მწერლის რაფფის (მელიქ-აკოფიანი) მეუღლისა. განსვენებულის მეუღლე მადლობას უძღვნის ყველას, საზოგადოებათა, სასწავლებელთა, რედაქციათა, კერძო კაცთა და სხვათა და სხვათა, სამძიმრის წერილებისათვის მისის მეუღლის გარდაცვალების გამო. ამასთანავე სთხოვს ნათესავთა და მეგობართა, რომ გაუგზავნონ განსვენებულ მეუღლის წერილები, რადგანაც განზრახვა აქვს დაჰბეჭდოს.

⁂ იმავე გაზეთში მოხსენებული იყო, რომ სომხის საზოგადოებას აზრადა აქვს რაფფის საფლავზე ძეგლი აავოსო. ამ საგნისათვის რედაქციას შემოწირულებაც-კი მიუღია. ამ ქამად ზოგიერთ მოსწავლეთაგან წარდგენილია 5 მან.

⁂ 17-ს მაისს მეცხრე განყოფილების ბოქაულმა და ექიმმა მრევლოვმა დაათვალიერეს ბუფეთი და სამზარეულო „Семейный садъ-ისა და სანოვაგე კარგი აღმოჩნდა, ჭურჭელი მოკალული, თვით სამზარეულოც სუფთა.

⁂ 17-სავე მაისს, დილის ცხრა საათზე, ადიდებულმა წყალმა მოიტაცა ტფილისის ცირის წყლის საზიდი „ბოჩკა“ ცხენიანად. წყლის მზიდველი გრიგორიევი გადარჩა.

◆◆

წერილი გორიდამ

(თავად-აზნაურთა კრების საყურადღებოდ)

ამ წერილში მე მსურს მოველაპარაკო მკითხველებს იმ საყურადღებო საგნების შესახებ, რომელზედაც ჰქონდა სჯა და ბაასი ათს აპრილს ამა წლისას გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებას. ჩვენ მაშინავე გვსურდა ამ საგნების შესახებ მოგველაპარაკნა, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო დავაგვიანეთ. თავი და თავი მიზეზი დაგვიანებისა ის იყო, რომ გვსურდა ისეთს დროს გველაპარაკნა, როცა გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება მოახლოვებული იქნებოდა. მოვიდა ასეთი დროცა. აი, ამ თვის ოცს დაიწყება ჩვენს დედა-ქალაქში გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, რომელსაც სხვა-და-სხვა საჭირო საგნებზედ ექნება სჯა და ბაასი. თუმცა რუსულს გაზეთებში და ქართულშიაც იყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებაზე მოხსენებული, მაგრამ ბევრი რამ იყო გამოტოვებული. ეს ასეც რომ არ ყოფილიყო, მაინც გახსენება მეტი არ იქნება, რადგანაც ვიცით, რომ ქართველი კაცი მალე ივიწყებს ხოლმე საქმესა და ხშირ-ხშირად საჭიროება გახსენება და მითითება. ჩვენც ვკისრულობთ გახსენებას და აქ მხოლოდ ჩამოვსთვლით იმ საკითხავებს, რომლებიც წარუდგინა ჩვენის მაზრის წინამძღოლმა თავად-აზნაურთა კრებას.

პირველად ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზე, რომ კადეტების კორპუსში, რომელიც ქალაქში დაარსდა ხელმწიფე ალექსანდრე მეორის ნებით, თითქმის აღარ იღებენ თავად-აზნაურთა შვილებს, და თუ იღებენ დიდის ვაი-ვაგლახით, ისიც სამხედრო კაცთა შვილებსა. ამიტომ ვიშუამდგომლოთ ხელმწიფე იმპერატორთან, რათა მიიღებოდნენ კორპუსში ქართველთა თავად-აზნაურთა შვილნი, ან გამართონ პარალელი კლასები განსაკუთრებით ჩვენის შვილებისათვის და ეგზამენი კონკურსისა მხოლოდ ჩვენ შვილთა შორის იყოსო...

მეორე. ილაპარაკეს კარგა ხანს გორის დედათა პროგიმნაზიის გამო. გორის დედათა პროგიმნაზიაში მომეტებულს ნაწილად იზრდებიან ქართველთა ქალნი, — განსაკუთრებით თავად-აზნაურთა. ამ სასწავლებელს სახელმწიფო აძლევს ათასს მანეთსა და დანარჩენი ფულიც სხვა-და-სხვა წყაროდგან შემოსდის, სხვათა შემწეთა შორის უფრო დიდს შემწეობას უჩენს თავად-აზნაურობა, ე. ი. თავად-აზნაურთა ბანკი. თვით ის სახლი, რომელშიაც დღეს მოთავსებულია პროგიმნაზია, აჩუქა გუბერნიის წინამძღოლმა, თავადმა ივანე მუხრან-ბატონმა. როცა ამისთანა შემწეობას აძლევს პროგიმნაზიას თავად-აზნაურობა, მაშასადამე, ნებაცა აქვს იკითხოს სასწავლებლის ავი და კარგი. ამ პროგიმნაზიაში, როგორც ვსთქვით, იზრდებიან და სწავლობენ ჩვენი ქალები, სასწავლებელი გვიმზადებს მომავალს დედებს და ამიტომ ყოვლად საჭიროა მათთვის საფუძვლიანი ცოდნა ქართულის ენისა, ისტორიისა და ლიტერატურისა. პირველს, არსებითს საჭიროებას ჩვენთა ქალთათვის ეს საგნები შეადგენს და ამიტომ ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ ქართულს ენას მიეცეს ჯეროვანი ადგილი და ჯეროვანი ყურადღება.

მესამე. გორის მაზრაში ზოგიერთი მამულები სხვა-და-სხვა მელურის ეშმაკობითა და მანქანებით გადავიდა და გადადის ვაჭრების ხელში. რამდენიმე სახლობა ამისთანა ეშმაკობითა, მოტყუებითა და „ჩათრევით“ სრულიად ცარიელზე დასვეს. თუ ერთსა და ორს თავად-აზნაურთაგანს მოუვიდა ასეთი საქმე, ბევრს სხვასაც მოელის.

ჩვენი გულ-კეთილობა და ამასთან დაუდევრობა ამ გარემოებას ხელს უმართავს. ამ გულ-კეთილობით და დაუდევრობით უსინდისოდ სარგებლობენ და როდესაც ათი-თორმეტის წლის შემდეგ ათს თუმანს ათას თუმნადაც გადაგვიქცევენ, მხოლოდ მაშინ დაგვეწევის ხოლმე კანი, მაშინ ვიგრძნობთ ხოლმე მოვალის სივერაგეს, ეშმაკობასა და „ობობაობასა“, მაგრამ გვიან-ღაა ხოლმე.

ამ საკითხავმა გამოიწვია ცხარე ბაასი. ვრცლად ილაპარაკა თავ. გ. მაჩაბელმა, რომელმაც განუმარტა თავად-აზნაურებსა: რა მოელით მათ, თუ ასე გაგრძელდა საქმე. რომ ცოტაც არის შეელავმოთ ისინი, რომელთაც თავისის ცხოვრების საგნად დაუდვიათ, რათა სხვა-და-სხვა უსინდისო საშუალებითა და შემწეობით გააღარიბონ ჩვენი თავად-აზნაურნი, საჭიროა მივმართოთ უმაღლესს მთავრობასა, რათა მან დაგვიფაროს, დანიშნოს სასტიკი გამოძიება, რომ შეიტყონ, რა გზით, რა ნაირად აღარიბებენ თავად-აზნაურებსაო. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ იყო ამ გვარი პრეცენდენტი პოლტავის გუბერნიაში. ერთს კეთილშობილს ქრივს ეჩივლნა ხელმწიფე იმპერატორთან ამ გვარს მტაცებელზედ. ხელმწიფე იმპერატორს კეთილ ენება და დაენიშნა განსაკუთრებითი გამოძიება. გამოძიებამ გამოაშკარავა უსამართლო მოქმედება მტაცებლისა, რომელსაც ჩამოართვეს უსამართლოდ შეძენილი მამულები, დაუბრუნეს დაჩაგრულს ქრივსა და მტაცებელი გაგზავნილ იქმნა ადმინისტრაციულის წესით იმ ადგილიდამ, სადაც ჩაიდინა მტაცებლობა. რადგანაც არის ამისთანა კანონი, რომ თავად-აზნაურობას აქვს ნება იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე თავიანთ საჭიროებაზედ და რადგან ერთს საჭიროებათაგანს შეადგენს დაფარვა მტაცებელთაგან, რომლებიც, პოეტისა არ იყოს, «არიან გამდიდრებულნი, —განა რითი, ძმანო? მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და სკვეჭით», ამიტომ თავად-აზნაურობამ დაადგინა: გუბერნიის წინამძღოლმა იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის, წინაშე რათა დაინიშნოს კომისია გამომძიებლად მტაცებელთა მოქმედებისა, რომელთაც რამდენიმე ოჯახი კიდეც გააღარიბეს, ხოლო სხვანი ელიან ამავე ბედსა. ეგებ თუ გამოძიების დროს აღმოჩნდება მათი ბოროტ-მოქმედება, მომართული ჩვენდა გასაღარიბებლად, მაშინ გვთხოვთ მოტყუებით ხელში ჩავარდნილი მამულები პატრონებსავე დაუბრუნდეთ და თვით მტაცებელნი განძევებულ იქმნან ჩვენის მაზრიდამაო.

ამ საკითხავის შესახებ მაგალითებიც წარმოადგინეს იმისა, თუ რამდენად უმოწყალოდ, სინიდისზე ხელ-აღებით მოქმედებენ მტაცებელნი. მაგალითად: აფასებენ გასასყიდად დღიურს ექვს შაურად, ათს თუმნიანს საქონელს აბაზად და სხვანი. ერთის სიტყვით ისე ახერხებენ საქმესა, რომ ნემსის ფასად დაფასებული მამული და საქონელი თვითვე რჩებათ.

მეოთხე. 14 აპრილს 1885 წლისას გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა, რომ სასარგებლო იქმნება ყოველ წლიური კრებები მეურნეთაო. ამ გვარი განაჩენი ჯერ სისრულეში არ არის მოყვანილი. ერთად თავ-მოყრა მაზრის თავად-აზნაურთა, მაზრის მემამულეთა და სჯა და ბაასი მამულების შესახებ დიდს სარგებლობას შესძენს ჩვენს თავად-აზნაურებსა და ამიტომ საჭიროა ვითხოვოთ, რათა შემუშავებულ იქმნას წესი და რიგი ამ გვარის კრებებისა.

მეხუთე. მთავრობა, რადგანაც ხარჯი უნდა დაადვას მამულებს, სთხოვს თავად-აზნაურთა შეიტყონ რაოდენობა თავისის მამულ-დედულისა და ეს ცნობანი წარუდგინონ მთავრობას. სასტიკად ითხოვენ ამასთანავე, რომ უეჭველად სიმართლით იყოს შედგენილი, თორემ ჯარიმა გადაგხდებათო. რამდენისამე სოფლისა და მამულის გარდა მთელის საქართველოს მამულები გაუმიჯნავია, არ იციან, ვის რამდენი აქვს. კრებამ დაადგინა: რადგანაც მამულები გამიჯნული არ არის და, მაშასადამე, რაოდენობა არ ვიცით, გვთხოვთ გადიდოს ხარჯის გაწერა იმ დრომდე, ვიდრე მამულების რაოდენობას შევიტყობდეთო.

მეექვსე: ილაპარაკეს ტყეების გაჩეხვისა და განადგურებაზე. წვა, გაჩეხვა, განადგურება ტყეებისა ამ უკანასკნელს ხანებში ერთობ გაშიარდა, ზომასა და წესს გადავიდა. მომავალში ამ გვარი განადგურება მეტის-მეტად საგრძნობელი იქნება: ჰავაზე და ნიადაგზე დამღუპველად იმოქმედებს, წყლები იკლებს, მაგრე ქარები და ყინვა-სიცივე იმატებს, ნიადაგს მოაკლდება სინესტე, გაჩნდებიან სხვა-და-სხვა ნაირი მწერები, კალიები. ყველა ეს იქნება შედეგი უტყეობისა. ამიტომ ვითხოვოთ მთავრობის წინაშე, ჩქარა გავრცელდეს ჩვენს ქვეყანაშიაც ისეთი წესები ტყეების დაცვისა და შენახვისა, რომელიც შექმნეს რუსეთის სხვა გუბერნიებშიო.

მეშვიდე: წაკითხულ იქმნა წერილი პოლტავის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, თავ. მეშჩერსკისა (29 ოქტომბრით, 1887 წ. № 960). წერილთან იყო პატარა წიგნაკი, რომელშიაც თავ. მეშჩერსკი ამტკიცებს, რომ თავად-აზნაურობის საკეთილდღეოდ საჭიროა შემდეგის წესის შემოღებაო: თავად-აზნაურობამ ერთი ნაწილი მამულისა უნდა უანდერძოს შვილსა და ეს ნაანდერძევი უნდა ხელ-უხლებელი იყოს, ამ ნაანდერძევს არავინ უნდა შეეხოს. ამ გვარად ჰფიქრობს დაიხსნას თავად-აზნაურობა უმამულობისაგან, უმამულ-დედულოდ დარჩენისაგან. თავ. მეშჩერსკი სთხოულობდა: მხარი მომეცით თქვენცა, რათა უფრო მალე მიეცეს ჩემს შუამდგომლობას ხელმწიფე იმპერატორის წინაშეო. კრებამ დაადგინა: მხარი მიეცეთ თავ. მეშჩერსკის თხოვნასა, წარუდგინოთ ეს თხოვნა გუბერნიის კრებას. ხოლო პირი განაჩენისა გაეგზავნოს თავ. მეშჩერსკისა.

მერვე. კრებამ დაადგინა: ვსთხოვოთ გუბერნიის წინამძღოლს, რომ ადრინდელს განაჩენებს სკოლის ფულის შესახებ, რომელიც თავად-აზნაურობამ ნებაყოფლობით იკისრა, გზა მიეცეს და აღსრულებაში მოვიდესო. ამ საკითხავმა გამოიწვია ერთი აყალმაყალი და ყვირილ-ღრიანცელი: არ გავიწეროთ ფულსა, ბოქაულს არ ჩავიყენებთ სახლში, ხარჯს ვერავის ჯერ მივცემთო. ერთის სიტყვით, რის ვაითა და ვაგლახით გაკეთებული საქმე კინაღამ ჩაშალეს ზოგიერთებმა, მაგრამ კრებამ დიდის უმეტესობით დაადგინა: ვსთხოვოთ, რომ ჩქარა მოიყვანონ სკოლის საქმე აღსრულებაშიო.

მეცხრე. კრებამ დაადგინა, რომ იშუამდგომლონ, ვისდამაც ჯერ არს, და მოაშორონ გორის მაზრას სიღნაღის მაზრის მცხოვრებელი აღ. ს—ის ძე შ—ი, როგორც მავნე კაცი, მდევნელი თავად-აზნაურებისა. იგი ყიდულობს აღმასრულებელს ფურცლებსა, ვექსილებსა და უფრო თავად-აზნაურთა მამულებსაო. იგი არის დამჭაში იმ მტაცებლებისა, რომლებიც ცდილობენ გააღარიბონ თავად-აზნაურობა და იმისი მამულ-დედული ხელში ჩაიგდონო.

მეათე. ჩამოვარდა ლაპარაკი „პრიკაზის“ ვალის შესახებ. დიდი ნაწილი კრებისა ამბობდა, რომ წამ-და-უწუმ პრიკაზის ვალის პატიებას წაგვიყვანენ წინა და სხვა საჭირო საქმეები-კი უკან რჩებაო. ასს-ორასს კაცზე მეტს ხომ არ ემართება პრიკაზს ვალი. ეს ასი-ორასი კაცი თავისაგან ითხოვს კრებას, მუდამ შესთხოვს მთავრობას, რომ გვაპატიეთ ვალიო. მთავრობამ რაც აპატია, იმაზედ მეტს რაღას აპატიებსო. დავანებოთ, ნუღარ შევაწუხებთ მთავრობას ამ თხოვნით; სხვა უფრო საყურადღებო, აუცილებელი სათხოვრები გვაქვს მთავრობასთანაო. პრიკაზის ვალი ისეთ ნაირად გადაგვღობებია გზაზე, რომ სხვა საქმეებს სვლა აღარ ეძლევა. მუდამ ამ სათხოვრით გავრბივართ, სხვას უკან ვაყენებთო. ვერც პრიკაზის ვალი ავაცილეთ თავიდამ და სხვა საშვილიშვილო საქმეები-კი გვრჩება შეუსრულებელიო. კრება გაიყო ორს დასად. ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს: ნუ ვსთხოვთ ხელმწიფე იმპერატორს „პრიკაზის“ ვალის პატიებასაო.

საზოგადოდ, წელანდელი კრება ბევრით საყურადღებო იყო, როგორც დაინახავს მკითხველი ამ წერილიდამ. საქმე ის არის, გუბერნიის კრებაზე როგორ მიიღებენ გორის მაზრის თავად-აზნაურთაგან დადგენილს განაჩენებსა, რა თვალით შეხედავენ.

ბოლოს არ შეგვიძლიან მადლობით არ მოვიხსენიოთ სამის წლის მოღვაწეობა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, ბ-ნ ივ. დავ. სულხანიშვილისა, რომელიც სულით და გულით ჰზრუნავდა თავად-აზნაურთათვის.

◆

წვრილი ამბები

გაზეთ «Pester Lloyd»-ში დაბეჭდილია ზოგიერთი ნაწყვეტები ედუარდ სიმონის წიგნისა, რომელიც დაწერილია გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხის თაობაზედ და ამ ახლო ხანში დაიბეჭდება. საყურადღებოა ამ ნაწყვეტებში სხვათა შორის ის ადგილები, სადაც მოხსენებულია ის, თუ რა აზრისანი ყოფილან იმპერატორი ნაპოლეონი და იმპერატრიცა ევგენია პრინცს ფრიდრიხ-ვილჰელმზე, როცა პრინცი, პრინცესა ვიქტორიაზედ დანიშვნის შემდეგ, პარიჟში ყოფილა. იმპერატორი სწერდა თურმე: „პრინცი ძალიან მომეწონა. ეჭვი არა მაქვს, რომ პრინცესას გააბედნიერებს. ერთის სიტყვით, ყოველისავე ღირსებით შემკულია, რაც-კი მაგის ხარისხისათვის არის საჭიროო“. აი ევგენია-კი რასა სწერს: «პრინცი მაღალია ტანით და ლამაზი ჭაბუკიც არის, ახოვანი, ქერათმიანი, მშვენიერი ჩალის ფერი ულვაშები აქვს, ერთის სიტყვით, ნამდვილი გერმანელია, როგორსაც ტაციტი აწერს. გმირის თავაზიანობა აქვს და ზოგიერთის ნიშნებით ჰამლეტს ემგზავსება. პრინცის თანამხლებელი, გენერალი მოლტკე, ჩუმი კაცია, ხოლო ის-კი სრულიად არ ეტყობა, რომ ოცნებობის მოყვარული იყოს; ყურადღებას აქცევს, ადამიანის გულს თავისის გარეგნობით ადვილად ინადირებს და ადამიანს აოცებს თავისის ახირებულის აზრებით. გერმანელები დიდებული ტომია. ლუი ამბობს, რომ მერმისი იმათია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამას ჯერ არ მოვესწრებივართ».

— ავსტრიის მეფის საიმპერატორო ცენზურაზედ მეტად საყურადღებო მოგონებანი დაბეჭდილა „Neue Freie Presse“-ში. მწერლებს ნება არა ჰქონდათ, რომ სცენაზედ გამოეყვანათ სასულიერო წოდების რომელიმე წევრი, „თუ გინდა ეს წევრი კეთილად და სათნოიანაც იყოს აწერილი“. ასეთივე კანონი არსებობდა სამხედრო წოდების კაცთა შესახებაც. აი რა ეწერა თურმე ცენზორების ინსტრუქციაში: „თუ ვინიცობაა პიესა მარტო სიყვარულს შეეხება, შეიძლება მოქმედნი პირნი კადეტები, ან პრაპორშიკები იყვნენ, ხოლო ოფიცრებისა და ამაზედ დიდ ხარისხოვნების გამოყვანა-კი ყოვლად აკრძალულია“. ვილჰელმ ტელი არ უნდა წარმოედგინათ სცენაზე. აგრეთვე სასტიკად იყო აკრძალული შემდეგის სიტყვების ხმარება: „ბრძენია სოლომონსავით“, ან „მოძღვარსავით ჩასუქებულია“. ამ სიტყვე-

ბის მაგიერ ცენზორი ასე სწერდა: «ბრძენია სოლონსავით» და „სქელია მდიდარ მებატონესავით“.

— ვაშინგტონში მომხდარ ქალების საერთა-შორისო კონგრესზედ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი საზღვარ-გარეთის გაზეთებში. კონგრესზე თავი მოუყრია 600-მდე დეპუტატს ქალს საფრანგეთიდგან, ინგლისიდგან, შვეიცარიიდგან, ნორვეგიიდგან, შვეციიდგან და ფინლიანდიიდგანაც-კი. ამ კონგრესს დასწრებია 39 ამერიკისა და ევროპის დედათა საზოგადოებანი, ინდოელთა ქალთა ამხანაგობა, ამხანაგობა დანიელ ქალთა და დედათა სხვა წრენი, ამხანაგობანი, საზოგადოებანი. ბ-ნს კრაპოტკინს სდომებია ამ კონგრესით სარგებლობა სარევოლიუციო აზრების გასავრცელებლად და მიუმართნია კონგრესისათვის თხოვნით, რომელშიაც დაბეჯითებით ამბობს: „თუ ქალები იმდენს ეცდებიან, რომ კაცებთან ერთად ხმა ექმნებათ სახელმწიფო საქმეებში, მაშინ მთელი კაცობრიობა იმათის წყალობით იქმნება განთავისუფლებულიო. მაგრამ ამ ბატონის იმედი არ გამართლებულა. ქალნი დეპუტატნი და ქალნი დელეგატნი ყველა ერისა და ტომისანი მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ ქალებს კაცებისათანავე უფლებანი ჰქონდეთ მინიჭებული შინაურს ცხოვრებაში და რომ, ამას გარდა, შეეძლოთ ზოგიერთის ხელობის სწავლა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად. პირველს სამს კრებაზედ ამ ქალების კონგრესს საქველ-მოქმედო საგნებზედა და იმაზედა ჰქონია სჯა და ბაასი, თუ რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ყოვლად მავნებელს ლოთობასა და სმას გადავარჩინოთ ხალხიო. საერთა-შორისო ქალთა მწერლობის ამხანაგობის მდივანს, ქ-ნს ბრაიდს, კონგრესისათვის წარუდგენია მოხსენება, თუ რა გავლენა აქვსთ ამერიკელს ქალებს ამერიკის ბეჭდვითს სიტყვაზეო. ამ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ამერიკაში პირველი—«მესაჩუზეტის გაზეთი» დაუარსებია ქალსა, მარგარიტა კრანერს, 1750 წელს. ამ მაგალითის შემდეგში სხვა ქალთაც მიჰბაძეს თურმე. აქედგან მომხსენებელს ის აზრი დაუსკვნია, რომ ქალებს შეუძლიანთ მშვენიერი რეპორტიორები და კორრესპონდენტები იყვნენო. მეორე ქალს დელეგატს უთქვამს, რომ „ქალებს ნება უნდა მიეცეს ვექილებად ყოფნისა, რადგან მხოლოდ მაშინ თვით ენა ვექილებისა ზრდილობიანი იქნებოდა და სასამართლოშიაც ძალიან მართებულად მოიქცეოდნენო“. ამ კონგრესის დეპუტაცია ამერიკის პრეზიდენტ კლივლენდთანაც ყოფილა და კლივლენდს უთქვამს: „ღმერთმა ჰქმნას, რომ საქმე წაგემართოთ და სურვილი აგისრულდეთო“. განზრახვა აქვსთ, შემდეგი კონგრესი მიიწვიონ პარიჟში 1892 წელსა.

— შილერის გარდაცვალებაზედ 9 მაისს 1805 წლისას გაზ. „Vossische Zeitung“-ი ამბობს: ვეიმარის თეატრის წევრთა მწუხარება განუსაზღვრელი იყო შილერის სიკვდილის გამო და დიდი ზარალიც მოუტანა ამ სიკვდილმა. ქ-ნმა იაგემანმა გამოაცხადა, რომ ამ უბედურების გამო იძულებული ვარ დიდის ხნით თავი დავანებო სცენასაო. ხოლო ჰერცოგმა კარლ-ავგუსტმა ბრძანება გასცა, რომ დღევანდელი წარმოდგენა გადასდეთო, და გამოაცხადა თურმე: ბოდიშს ვიხდით, შილერის გარდაცვალების გამო წარმოდგენა გადაიდოვო. როცა თეატრის რეჟისორი, ედუარდ გენასტი, მივიდა გიოტესთან, გიოტე დაღვრემილი დახვდა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს გარდაცვალებულზედ სტუმრისათვის. ბაასის დასასრულს, როცა რეჟისორი მიდიოდა, გიოტემ მისძახა თურმე: „კიდევ ერთი სიტყვა. ამ უცნაურის განცხადების შემდგენელს მოახსენეთ, რომ უკეთესს იზამდა, სულ არ ეჩვენებინა ხალხისათვის ასეთი განცხადება. როცა შილერი კვდება, მაშინ სრულიად მეტია და უადგილო ბოდიშის ხდა წარმოდგენის გადადების გამო.“ გენასტმა ნაჩქარად შეასრულა ეს თხოვნა, ხოლო ისე-კი, რომ არ გაუმჟღავნებია ყველასაგან პატივცემულის კაცის მოთმინებიდგან გამოსვლა. თვითონ გიოტე დიდხანს ვერ დადიოდა თურმე თეატრში შილერის გარდაცვალების გამო.

— მთელი პარიჟია ესლა და იმ დუელის ამბავი, რომელიც ორს მხატვარს შუა მოხდა, სახელდობრ დიუპუისა და გაბერს შორის. ამ დუელის მსხვერპლი შეიქმნა სრულიად უდანაშაულო დიუპუი, რომელსაც მეტად უსამართლოდ და ულმერთოდ მოექცა მისი ამხანაგი და მეგობარი გაბერი. საქმე ასე იყო: გაბერმა შეიტყო, რომ დიუპუის სახლში ერთს საღამოს ვიღაც უმაწვილმა ქალმა თავისი ლექსი წაიკითხაო. გაბერს უნდოდა ეს ლექსი თავისს პატარა გაზეთში დაებეჭდა, მაგრამ იმისი გამოგზავნა დაუგვიანეს. როგორ თუ ლექსის გამოგზავნა დამიგვიანესო, ადგა და გაზეთში სიტყვა გადაჰკრა ახალგაზდა პოეტს ქალსაც და თავის მეგობარს დიუპუისაც. გადაჰკრა სიტყვა და უმართებულოდაც მოიხსენია. დიუპუიმ ძალიან იწყინა ეს ამბავი. დიუპუის ცოლმა წიგნი მისწერა გაბერს და შეუთვალა, რომ შენი საქციელი არას არა ჰგავსო და ჩვენსა ნუღარ გაივლიო. გაბერმა ახლა თავისის ამხანაგის ცოლს გადაჰკრა სიტყვა თავისს გაზეთში. დიუპუიმ გამოიწვია დუელში გაბერი და უნდა ებრძოლნათ დამბაჩებით. დუელი არაფრით არ გათავდებოდა, რაკი დიუპუიმ სრულიად არ იცოდა სროლა და გაბერი-კი ახირებული კარგი მსროლელი იყო. მაგრამ გაბერმა არჩია, რომ გული გაეგმირა თავისის მეგობრისათვის რადგან შიშობდა, ვაი თუ იმ დამბაჩის მოხმარების არ მცოდნემ ისეთს ხელზე გამოისროლოს, რომ მომკლასო. მთელი პარიჟი შეაძრწუნა გაბერის საქციელმა. კაცის-კვლა დააბრალეს და შეიპყრეს კიდეც პირველ ხანად, მაგრამ მერე ისევ გაანთავისუფლეს. მაინც გამოძიება ამ საქმის გამო ჯერ ისევ სწარმოებს და აქამდე არ გათავებულაო, მოგვითხრობს პარიჟელი კორრესპონდენტი გაზ. „Рус. Вѣд.“-სა.

◆◆

დეპეშა

17 მაისი

პეტერბურგი. რწმუნებული თავისუფალ ქალაქებისა გრაფი კასსინი, რომელიც ამ ქალაქების სენატებისაგან არის დანიშნული და უფროს კონსულად იყო ჰამბურგში, ახლა დაინიშნა ჰერცოგ ოლდენბურგის სასახლის და ზემოხსენებულ ქალაქების სენატების მინისტრ-პრეზიდენტად.

20 მაისს ბალტიის ქარხანაში ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით დაიწყებენ აგებას საიმპერატორო იახტისას „Полярная Звѣзда“ და ჩაუშვებენ წყალში ჯავშნიანს ფრეგატს „Память Азова“.

თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი დეპეშით იწერება, რომ სამარყანდის რკინის გზა გაიმართა იმიერ-კასპიის მხარეშიო, და ამბობს შემდეგს: როცა პირველმა მატარებელმა გაიარა ამ გზაზე, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო ამ ამბავს როგორც აქაურნი, ისე რუსნიცა. ხალხი ჰგრძნობს, რომ ეს მშვიდობიანი დღესასწაული დასაწყისია ამ ქვეყნის წარმატების ახალის ხანასი და საბუთია დიდის მონარქიის მამობრივის ზრუნვისა თავის ერთა საჭიროებისა და კეთილდღეობისათვის შუა აზიაშიო.

ოდესა. გუშინ დედოფალი ელლინთა მოვიდა აქ და დღეს პეტერბურგში აპირობს წასვლას.

ბერლინი. „ჩრდილო-გერმანიის საყოველთაო გაზეთი“ შემავიწროებელს ლონის-ძიებას უწოდებს ელზას-ლოთრინგში მიღებულს ლონის-ძიებას პასპორტების შესახებ და ამბობს, რომ ეგ შემავიწროებელი ლონის-ძიება შედეგია მთელის ჩვენის პოლიტიკისა, რომელიც იმაზეა მიმართული, რომ გერმანია დამკვიდრდეს ახალს ქვეყანაშიო. გაზეთი ამბობს, რომ რადგან ძულება ფრანგებისა გერმანელთა მიმართ ძლიერდება და საფრანგეთის მთავრობა ამ ძულებას უფრო აქეზებდა, ვიდრე აქარწყლებდაო, ამიტომ გერმანია ჰფიქრობს საზღვარზე მისვლა-მოსვლის შევიწროებით, რამოდენადაც შესაძლო იქნება, იმოდენად აიცილოს თავიდამ რაიმე უსიამოვნობა და ამით ემსახუროს მშვიდობიანობის საქმესაო.

ვენა. ოსმალ-ბოლგართა საზღვარზე გაჩნდნენ შეთოფ-იარაღებულნი რაზმნი ბოლგარიიდამ გარდახვეწილთა, რომელნიც უფრო და უფრო ძლიერდებიან ჩერნოგორიის საზღვრებისაკენა. ოსმალეთის მთავრობა ძალიან ფრთხილობს და სხვა-და-სხვა ლონის-ძიებასა ხმარობს. გარდახვეწილ ბოლგარელთა სცადეს რამდენჯერმე კიდეც, რომ აჯანყება მოეხდინათ.

მთავარ-მინისტრის ტისას სიტყვების გამო, რომ უხერხული საქმე იქნება, თუ ვინიცობაა ვენგრიამ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის გამოფენაშიო, დამოუკიდებელთა დასს პეშტში განზრახვა აქვს თანაგრძნობა გამოუცხადოს საფრანგეთსაო.

18 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი მადლობას უძღვნის თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს როზენბახს და კასპიის იქითა მხრის რკინის გზის გამყვანს, გენერალ ანენკოვს და—უმაღლესს მოწყალებას გენერალ ანენკოვის თანაშემწეთ, რკინის გზის მეორე ბატალიონის უფროსს და ამ ბატალიონის ჯარის კაცებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამარყანდის განყოფილების რკინის გზის გაყვანაში, მათის სამსახურისა და შრომისათვის გზის კეთების დროს.

ასტრახანის გუბერნატორი ცეიმერნი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს წევრად.

უწმინდესის სინოდის განკარგულებით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია, მთელს იმპერიაში უნდა გაიმართოს ხელის-მოწერა მართლმადიდებელთა ეკკლესიის ასაშენებლად ქ. რეველში. შეწირულებათა მოსაგროვებლად და ეკკლესიის ასაგებლად უნდა დააარსონ კომიტეტი ესტლიანდიის გუბერნატორის თავმჯდომარეობით.

ვენა. დეპუტატმა მილნერმა ამხანაგებითურთ ჰკითხა პალატას, თუ რა საშუალებით უნდა მთავრობას შეავიწროვოს რუსეთის ხორბლის შემოტანა ავსტრიაში, როგორც „Politische Correspondenz“-ს სწერენ სტამბოლიდგან, არქიეპისკოპოსი ვანისა იოანნე, რომელსაც მოკვლას უპირებდნენ, არ მომკვდარა, არამედ მძიმედ დაჭრილია, დამნაშავენი ჯერ არ აღმოუჩენიათ და ვერც დანაშაულობის მიზეზი შეუტყვიათ.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მაისი

	მყიდველნი ჰყ.	გამყიდველ. ჰყავს.	გაყიდულია.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	— „	— „	9 50
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	189
მანათიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 40
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	272¼	— „	— „
—მეორისა	243½	— „	— „
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	98½	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	98½	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	83½	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქრონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქრონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
მაისი 31 დღით არის.

19 დღე ხუთშაბათი. ღირსისა გენატესი და პეტრიკიასი. კათოლ. ცელესტინასი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დედოფალ დარიას გავლენით ქართლი გაინაწილეს ბატონიშვილებმა ერთმანეთში, 1793 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—28. მთვარე 21 დღისაა.

20 დღე პარასკევი. ღირსისა დოდო გარესჯელისა. კათოლ. ბერნარდინასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 22 დღისაა.

21 დღე შაბათი. მოციქულთა სწორისა მეფე კონსტანტინესი და ელენესი. კათოლ. ვიქტორიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 23 დღისაა.

22 დღე კვირა. წამება ვასილისკასი. კათოლ. იულიასი და ელენესი. სომეხ. წმ. ჯვარის გამოჩენა იერუსალიმში. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—30. მთვარე 24 დღისაა.

23 დღე ორშაბათი. ღირსისა მიხეილისა და ევფროსინესი. კათოლ. ფრენცენციასი. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 25 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. .	3	„
„ 2 „	2½	„
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	„
„ „ 2—	3½	„
„ „ 3 „	3	
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	5	„
მე-2 ხარისხისა . .	4	„
მე-3 — . . .	„	„
ძროხის ხორცი . . .	9	„
„ 2 „	8	„
სუკი	16	„
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	10	„
ღორის ხორცი . . .	„	„
„ 2 „	„	„

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ძველს ქარვასლაში, №101.

განცხადებანი

ნამდვილი საუნჯეა
ყველასათვის განთქმული წიგნი
თავის მცველი
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეის წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—15)

Доз. ценз. Тифлисъ, 18-го мая 1888 года. Типографія „Кавк. Обозр.“ (Н. И. Френкель)
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე